დარეჯან მენაბდე

მემუარული ლიტერატურის ისტორიოგრაფიული კონცეპტები

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩვენს საზოგადოებაში გაჩნდა განსაკუთრებული ინტერესი მანამდე გამოუქვეყნებელი მემუარული ლიტერატურის მიმართ; ლიტერატურისა, რომელშიც აღწერილია როგორც 1921 წლის ისტორიული მოვლენები, ისე ტოტალიტარული რეჟიმის შემდგომი მოქმედებები. ისიც ცხადია, რომ მარტო საბჭოურ ისტორიოგრაფიაზე დაყრდნობით თანამედროვე მკითხველი ვერ მიიღებს სრულფასოვან ინფორმაციას 70-წლიანი რეჟიმის შესახებ. ამ რაკურსით კვლევისას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება მემუარულ ლიტერატურას, რომელსაც ხშირად ისტორიული წყაროს ღირებულებაც აქვს. მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან გამოქვეყნდა ბევრი პოლიტიკური საზოგადო მოღვაწის მემუარები (ნოე ჟორდანიას „ჩემი წარსული“, გიორგი მაზნიაშვილის „მოგონებანი“, სამსონ ფირცხალავას „მოგონებათა ფურცლები“, გიორგი კვინიტაძის „მოგონებები“ და სხვ.). აღნიშნული ლიტერატურული პროცესი განსაკუთრებული ინტენსივობით გრძელდება 21-ე საუკუნეში. ჩვენს დროში პირველად დაიბეჭდა არაერთი ცნობილი მოღვაწის მემუარები, რომლებიც ნათლად ასახავს იმ ტრაგიკული ეპოქის ისტორიულ რეალობას.

მოხსენებაში წარმოდგენილია სამი ავტორის ბოლო დროს გამოცემული მემუარები, დაწერილი სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა გარემოში. მიუხედავად იმისა, რომ ერთი მათგანი – სოფიო ჩიჯავაძე-კედია – მემუარებს საფრანგეთში, ემიგრაციაში წერდა, მეორე – ისიდორე რამიშვილი – საბჭოთა ციხეებში, მესამე – მიხეილ კეკელიძე – გადასახლებაში, რეალურად ყველა მათგანი საბჭოთა რეჟიმის მსხვერპლი იყო.

სოფიო ჩიჯავაძე-კედიას (1885-1993) მემუარები „ნასმენ-ნახული“ 2002 წელს დაიბეჭდა პარიზში. ს. ჩიჯავაძე-კედია იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის, სპირიდონ კედიას, მეუღლე, თანამოაზრე და თანამებრძოლი, პროფესიით ისტორიკოსი. „ნასმენ-ნახული“ 600-გვერდიანი წიგნია, რომელსაც ავტორი ემიგრაციაში ათეული წლების განმავლობაში წერდა. მოგონებები ეფუძნება ისტორიულ ფაქტებს, საქა-

რთველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისა და მისი შენარჩუნებისათვის ბრძოლის პერიპეტიებს. ტექსტში აღწერილია წითელი არმიის შემოსვლა თბილისში, წინააღმდეგობის მოძრაობები (1922 წლის გამოსვლებისა და 1924 წლის აჯანყების ისტორიები და შედეგები), იმ ქალების ხვედრი, რომლებიც საკუთარი ბინებიდან გამოასახლეს და რომელთაც „ჩეკასა“ და ციხეებს შორის უხდებოდათ სიარული, ხალხის დამოკიდებულება ახალი რეალობისადმი და ა. შ.

ისიდორე რამიშვილი (1859-1937) იყო ქართული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი დამაარსებელი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, რომელიც ოკუპაციის შემდეგაც საქართველოში დარჩა. 1922 წლიდან ის გადასახლებული იყო კაშინში, ასტრახანში, ტაშკენტსა და ხოდჟენტში, ხოლო მოგვიანებით, ცხინვალსა და ვლადიკავკაზში. ისიდორე რამიშვილის „მოგონებები“ (გამოიცა 2012 წ.) მრავალმხრივ მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროა; განსაკუთრებით სულისშემძვრელია საბჭოთა ციხეებსა და გადასახლებაში მცხოვრები ადამიანების ყოფის აღწერა. თხრობა წყდება 1936 წელს. ავტორი 1937 წელს დახვრიტეს თბილისში.

მიხეილ კეკელიძის (1911-1996) „მოგონებები“ სულ ახლახან, 2020 წელს გამოსცა ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმმა. მ. კეკელიძე იყო მწერალი, ისტორიული რომანების ავტორი, თვითმხილველი პირველი ქართული რესპუბლიკის დამხობის და ქვეყნის ბოლშევიზაციისა. სრულიად ახალგაზრდამ ჩამოაყალიბა არალეგალური ორგანიზაცია „ახალგაზრდა საქართველო“, რის გამოც ათეული წლები გაატარა ციხეებსა და გადასახლებებში. „მოგონებებში“ ცალკე თავებადაა გამოყოფილი: „1921 წლის თებერვალი“, „1924 წლის აგვისტო“, „მეტეხის ციხეში“, „მოსკოვი. ბუტირკის ციხე“, „ირკუტსკის ციხე. ბრატსკი“ და ა. შ. ტექსტი იმითაც არის საინტერესო, რომ მასში მოთხრობილი ისტორიები საქართველოს პირველი რესპუბლიკის გამოცხადებიდან მე-20 საუკუნის 90-იან წლებამდე (დამოუკიდებლობის აღდგენის ჩათვლით) გრძელდება.

Darejan Menabde

HISTORIOGRAPHIC CONCEPTS OF MEMOIR LITERATURE

After the collapse of the Soviet Union, special interest arose n our society in previously unpublished memoir literature – the literature which describes the historical events of 1921 as well as the subsequent actions of the totalitarian regime. It is also obvious that modern readers cannot obtain full information on the 70-year-long regime relying only on the Soviet historiography. In the process of research from this viewpoint, memoir literature assumes a certain importance, which often also has the significance of a historical source.

This presentation deals with the recently published memoirs of three authors, written at different times and in different environments. Although the first of them – Sophio Chijavadze-Kedia – wrote her memoirs in emigration in France, the second – Isidore Ramishvili – in Soviet prisons, and the third – Mikheil Kekelidze – in exile all of them were victims of the Soviet regime.

The memoirs of Sophio Chijavadze-Kedia (1885-1993), Nasmen-Nakhuli (The Heard and Seen) were published in 2002 in Paris. S.Chijavadze-Kedia, a historian by profession, was the wife of Spiridon Kedia, Chairman of the National-Democratic Party, she shared the ideas of her husband and supported him in the struggle. The memoirs are based on historical facts, the peripeteia of gaining the independence of Georgia and struggle for its retaining. The text describes the entry of the Red Army into Tbilisi, the resistance movements (the history and results of the 1922 riots and the 1924 uprising), the fate of women who were evicted from their apartments and had to move between the "Extraordinary Commission" and the prisons, the people's attitude towards the new reality, etc.

Isidore Ramishvili (1859-1937) was one of the founders of the Social-Democratic Movement, a member of the National Council and the Founding Assembly of the Democratic Republic of Georgia, who stayed in Georgia after the occupation. From 1922 he was exiled to Kashin, Astrakhan, Tashkent and Khodjent, and later – to Tskhinvali and Vladikavkaz. Mogonebebi (The Memoirs) by Isidore Ramishvili (published in 2012) is an important historical source in many respects. The narrative ends in 1936. The author was executed by shooting in 1937 in Tbilisi.

Mogonebebi (The Memoirs) by Mikheil Kekelidze (1911-1996) was published recently, in 2020. M.Kekelidze was a writer, author of historical novels, an eye-wit-

ness of the overthrow of the First Georgian Republic and the Bolshevization of the country. He was quite young when he founded an illegal organization Akhalgazrda Sakartvelo (Young Georgia), for which he spent decades in prisons and exiles. The text is interesting also because the history narrated in it covers the period from the proclamation of the First Georgian Republic to the 1990s (including the restoration of independence).

ნინო მინდიაშვილი

მამხილებელი პათოსი „დათბობის“ პერიოდის ქართულ პოეზიაში

საბჭოთა რეჟიმის პირობებში მიზანმიმართულად მიმდინარეობდა „მწერლობის მოთვინიერების“ პროცესი. შიშმა ან კეთილდღეობის სურვილმა თავისი გაიტანა, სულ უფრო ხშირი გახდა იდეოლოგიური ნიშნით გამორჩეული ტექსტები, რომლებშიც საბჭოური „სამოთხე“ წარმოჩინდებოდა. თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ 50-იანი წლებიდან ქართულ პოეზიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, მხატვრულ ტექსტებში ნელ-ნელა გაჩნდა მოქალაქეობრივი და მამხილებელი პათოსი, რაც განსაკუთრებულ ელფერს სძენდა მწერალს და მის შემოქმედებას.

ხრუშოვისეული „დათბობის“ პერიოდი ქართულ ლიტერატურულ სივრცეზეც აისახა, მწერლობის მიმართ მოჩვენებითად შერბილებულმა თუ ინერტულმა დამოკიდებულებამ შესაძლებელი გახადა მწერლებს კრიტიკული დამოკიდებულება გამოეხატათ, წამოეწიათ ის საკითხები, რომელთა განხილვაც მანამდე შეუძლებელი იყო.

ჩვენი კვლევის მიზანია განვსაზღვროთ, თუ როგორ აისახა ტოტალიტარული ეპოქის მანკიერი მხარეები მხატვრულ ტექსტებში.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოდ გვეჩვენება XXს 50-70-იანი წლების ქართული პოეზია.

კვლევის შედეგად იკვეთება შემდეგი:

1) „დათბობის“ პერიოდში შესაძლებელი გახდა მხატვრულ ტექსტებში მამხილებელი და მოქალაქეობრივი პათოსის წამოწევა.

2) ტოტალიტარულმა ეპოქამ შეცვალა საზოგადოების ცნობიერება და ხელი შეუწყო მათ ზნეობრივ დეგრადაციას, რაც რეფლექსირებულია ქართულ პოეზიაში.